

სადახლო-ბაგრატაშენის ხიდის პროექტი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	48365
ბიზნეს სექტორი:	ტრანსპორტი
შეტყობინების ტიპი:	საჯარო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
საბჭოზე გატანის თარიღი:	14 დეკემბერი, 2016
სტატუსი:	ხელმოწერილი
პროექტის მოკლე ანოტაცია:	22 მარტი, 2012

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დააფინანსებს პროექტს, რომლის მიზანია სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს საზღვარზე არსებული სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტის მოდერნიზაცია და განახლება .

სასესხო ხელშეკრულებას სომხეთ-საქართველოს საზღვარზე ბაგრატაშენის ხიდის მშენებლობის დაფინანსების შესახებ EBRD-სა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა 2012 წლის 23 ნოემბერს, სესხის თანხაა 10.3 მილიონი ევრო. სადახლო-ბაგრატაშენის ხიდის თანადაფინანსების შესახებ საქართველოს მთავრობის მოთხოვნის შემდეგ გაფორმდა „ხელშეკრულება მდინარე დებედაზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო პუნქტთან“, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის 2014 წლის 24 დეკემბერს. შედეგად, EBRD განიხილავს სამთავრობო სესხის გამოყოფის შესაძლებლობას საქართველოსათვის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო ხიდის მშენებლობის ხარჯების თანადაფინანსების მიზნით.

პროექტის მოკლე ანოტაცია პირველად გაზიარდა (სომხეთის ჩრდილოეთ კორიდორის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში) 2012 წლის 22 მარტს.

პროექტის მიზნები

EBRD-ის სესხი მოხმარდება სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს საზღვარზე სადახლო-ბაგრატაშენის ახალი ხიდის მშენებლობას, ისევე, როგორც დაკავშირებული ზედამხედველობის სერვისების განვითარებას.

სასაზღვრო გამშვები პუნქტები - ბაგრატაშენი, ბავრა და გოგარანი, ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით პრიორიტეტია, როგორც ეს განსაზღვრულია სომხეთის ინტერგრირებული საზღვრის მართვის გეგმაში. სასაზღვრო პუნქტების ეფექტიანი ფუნქციონირება პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობისთვისაც. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და გამშვები პუნქტების ამჟამინდელი მდგომარეობა სერიოზულ შეფერხებებს იწვევს რეგიონალური მიმოსვლის კუთხით.

შუალედური შედეგი

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლება ხსენებულ სასაზღვრო პუნქტებზე ეკონომიკურ სატრანსპორტო დერეფნის უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას განაპირობებს, ხელს შეუწყობს რეგიონალურ ვაჭრობასა და მგზავრების გადაადგილებას, გაამყარებს საერთაშორისო თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. პროექტი ასევე უზრუნველყოფს ადეკვატურ საოპერაციო პირობებს განახლებულ სასაზღვრო პუნქტებზე, რომ პოტენციური ეკონომიკური სარგებლის მიღება არ შეფერხდეს ოპერაციული სირთულეების გამო.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა

მსესხებლები არიან:

- სომხეთის რესპუბლიკა, განახორციელებს სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო
- საქართველო, განახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

6,000,000.00 ევრო.

10.3 მილიონი ევროს ოდენობის სამთავრობო სესხი სომხეთის რესპუბლიკისათვის (შემცირდება).

6 მილიონ ევრომდე სამთავრობო სესხი საქართველოსათვის.

სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან მოდერნიზაციის პროგრამა ასევე ფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხით და ევროკავშირის, ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდისა (NIF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საგრანტო დაფინანსებით.

პროექტის მთლიანი ღირებულება

64,100,000.00 ევრო.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მიენიჭა კატეგორია B ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (ESP) ფარგლებში (2014), რადგან ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის გაკონტროლება და შერბილება ადვილად არის შესაძლებელი გარემოს დაცვისა და სოციალური ტექნიკური კვლევის ფარგლებში.

UNDP-მ პირველადი გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასება (IESIA) პროექტისათვის 2012 წელს ჩაატარა, რომელიც გულისხმობდა სამი სასაზღვრო პუნქტის განვითარებასა და ოპერირებასთან დაკავშირებული პოტენციური შედეგების მაღალი დონის განხილვებს. დამატებითი ტექნიკური კვლევა ჩაატარა ბანკის ტექნიკური საკითხების ექსპერტმა, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა და შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის UNDP-ს წარმომადგენლებს და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს. ეს კვლევები აჩვენებს, რომ ხიდის მშენებლობის პროექტმა შესაძლო იქონიოს გარკვეული გავლენა გარემოს დაცვისა და სოციალური კუთხით, თუმცა ამ შედეგების ადეკვატური შერბილება შესაძლებელია. მთავარი რისკები ხიდის დიზაინისა და მშენებლობის კუთხით დაკავშირებულია სამუშაო პირობებთან, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან, ასევე მცენარეულობის გადარგვასთან, არსებული ხიდის აღების პროცესთან და მშენებლობის შედეგებთან, როგორებიცაა ხმაური, ტრანსპორტის მოძრაობა და მტვერი. მიწის გამოყოფა უკვე მოხდა, მოსახლეობის იძულებითი განსახლების საჭიროება არ დამდგარა, მხოლოდ რამდენიმე მცირე ბიზნესის მფლობელს გადაეცა კომპენსაცია ბიზნესების სანაცვლოდ. დღეისათვის არსებული ინფორმაციით, ბიზნესის მფლობელებისათვის გაცემული კომპენსაციები ადეკვატური იყო.

მოხდა ESAP-ს მომზადება, რომ პროექტმა შეასრულოს ESP (2014) და ამასთან დაკავშირებული სამოქმედო მოთხოვნები. ESAP-ით გათვალისწინებულ ძირითად ამოცანებს შორისაა: ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური ანალიზის მომზადება დამტკიცებულ გეგმაზე დაყრდნობით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მომზადება, რომელიც მოიცავს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების და ადამიანური რესურსების მართვის გეგმებს და მყარი ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება, რომელიც მოიცავს აღებული ხიდის ნარჩენების სათანადო წესით დაბინავებას. ბანკი განახორციელებს პროექტის მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების და ESAP-ს შესრულების მონიტორინგს ყოველწლიური E&S ანგარიშების საშუალებით, შესაძლოა, ასევე დაიგეგმოს ადგილზე ვიზიტები რისკებიდან გამომდინარე.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ იგეგმება

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ლუკა მოსაშვილი

luka.mosashvili@georoad.ge

+995 (322) 370 508

www.georoad.ge

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ალ ყაზბეგის №12, თბილისი, საქართველო 0160

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს: +44 20 7338 6794;

procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, რაც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

projectenquiries@ebrd.com

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (PIP)

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელების გზები და ის კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით.

[პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

ევრობანკმა დააწესა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი - დამოუკიდებელი განხილვის ან საჩივრების შეტანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი.

პროექტის საჩივრის მექანიზმი

ნებისმიერი საჩივარი, პროექტის საჩივრის მექანიზმის ფარგლებში წარდგენილი უნდა იყოს წესებსა და პროცედურებში გაწერილ ვადებში. დახმარებისათვის შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს (pcm@ebrd.com) EBRD-ის შესაბამის რეზიდენტ ოფისში თუ არ ხართ დარწმუნებული, რელევანტურია თუ არა თქვენი საჩივარი.